საქართველოს კანონი

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 12.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 200020000.05.001.016788) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ჰ[34]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ[35]“ და ჰ[36] ქვეპუნქტები:

„ჰ[35]) სავაჭრო ობიექტის საკომისიო - საკომისიო, რომლის სავაჭრო/მომსახურების ობიექტის, როგორც მიმღების მიერ უშუალოდ ან/და ნებისმიერი შუამავალი პირის მეშვეობით მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის გადახდა ხდება კონკრეტული საგადახდო ინსტრუმენტის საშუალებით მიღებული თითოეული გადახდის ოპერაციისთვის;

ჰ[36]) სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკად განსაზღვრული კომერციული ბანკი.“.

2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მიზნებისთვის საზოგადოების ნდობის, საგადახდო სისტემის, ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ან/და საგადახდო სისტემის სოციალური ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით საგადახდო სისტემას მიანიჭოს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ან გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი, აგრეთვე განსაზღვროს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემისა და გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის კრიტერიუმები და ამ სისტემის ან/და მისი ოპერატორის მიმართ, მათ

შორის, კაპიტალისა და აქტივების მიმართ, დაადგინოს მოთხოვნები, განსაზღვროს მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ფარგლებში გაწეული მომსახურების, მათ შორის, მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების საკომისიოს გაანგარიშების წესი ან/და საკომისიოს (საკომისიოს შემადგენელი ცალკეული კომპონენტების) ზედა ზღვარი, მათ შორის, მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურებისა და საგადახდო ინსტრუმენტის კატეგორიის მიხედვით.“.

3. კანონის მე-5[1] მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5[1] პუნქტი:

“5[1]. მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემა და მისი ოპერატორი ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ პროვაიდერებისათვის არადისკრიმინაციული წვდომა ისეთ ტექნიკურ შესაძლებლობებზე, რომლებიც აუცილებელია გადახდის ოპერაციების ალტერნატიულ არხში ან პროცესში გადამისამართების („სმარტ რაუტინგის“) განხორციელებისთვის.“.

4. მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) გადახდის ოპერაციის განხორციელება საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით, მათ შორის, პირდაპირი დებეტის (მათ შორის, ერთჯერადი დავალების), საკრედიტო გადარიცხვის (მუდმივი დავალების ჩათვლით), საგადახდო ბარათის ან სხვა ელექტრონული საშუალებით, მათ შორის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ უსაფრთხოდ დაკავშირებული საგადახდო ანგარიშის გამოყენებით, საგადახდო მომსახურების მომხმარებლის საკუთარი ფულადი სახსრების ან მისთვის ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსის ფარგლებში.“.

5. 20[1] მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მიმღებს არ აქვთ უფლება, უარი განაცხადონ საგადახდო ინსტრუმენტის მიღებაზე

ემიტენტის ან/და მომხმარებლის მიხედვით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან/და საგადახდო ინსტრუმენტის სპეციფიკიდან, ფინანსური სტაბილურობის, საგადახდო სისტემის ეფექტიანობის ან უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.“.

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, დააწესოს ისეთი შეზღუდვა, რომელიც მიმღებს უკრძალავს, გადამხდელს მიაწოდოს ინფორმაცია ურთიერთგაცვლის საკომისიოს, სავაჭრო ობიექტის საკომისიოს ან/და საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოების შესახებ.“.

6. 22[2] მუხლის მე-4 პუნქტის:

ა) „ბ-გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) გადამხდელს და გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს გადახდის ოპერაციის ინიციირებისას მიაწოდოს ან ხელმისაწვდომი გახადოს შესაბამისი საგადახდო ანგარიშის ნომრის, ნაშთის, ვალუტის შესახებ ინფორმაცია და გადახდის ინიციირებისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია იმგვარად, რომ მომხმარებელმა გადახდის ინიციირების მომსახურება მიიღოს დაბრკოლების გარეშე, ასევე გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერისგან საგადახდო დავალების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახადოს ან მიაწოდოს მას გადახდის ოპერაციის ინიციირების შესახებ, აგრეთვე გადახდის ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებული მისთვის ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაცია;

გ) არ დაუშვას დისკრიმინაციული მიდგომა გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით მიღებულ საგადახდო დავალებასა და მის მიერ უშუალოდ გადამხდელისგან მიღებულ საგადახდო დავალებას შორის, მათ შორის, საგადახდო დავალების

შესრულების დროის, პრიორიტეტულობის ან საკომისიოების თვალსაზრისით.“.

ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ერთგვაროვნად გამოიყენოს ამ კანონის 22^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გამონაკლისები გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით მიღებული საგადახდო დავალებებისა და მის მიერ უშუალოდ გადამხდელისგან მიღებული საგადახდო დავალებების მიმართ ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ განსაზღვრული გადახდის ოპერაციის თანხის ლიმიტებისა და გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით მომხმარებლის მიერ რეგისტრირებული ამ ქვეპუნქტში აღნიშნული გამონაკლისების ფარგლებში.“.

7. 34^1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 34^2 მუხლი:

„მუხლი 34^2. სავაჭრო ობიექტის საკომისიო და ურთიერთგაცვლის საკომისიო

1. მიმღების საგადახდო მომსახურების იმ პროვაიდერს, რომელიც წარმოადგენს სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკს ან სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკის ჯგუფში შემავალ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, არ აქვს უფლება დაადგინოს სავაჭრო ობიექტის საკომისიოს ისეთი ოდენობა გადახდის თითოეულ ოპერაციაზე, რომელიც აღემატება გადახდის თითოეული ოპერაციის თანხის 0,5 %-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია განსაზღვროს სავაჭრო ობიექტის საკომისიოს მინიმალური თვიური ჯამური ოდენობა არაუმეტეს 30 ლარისა, თუ კონკრეტული სავაჭრო/მომსახურების ობიექტიდან მიღებული სავაჭრო ობიექტის საკომისიოს თვიური ჯამური ოდენობა არ აღემატება 30 ლარს.

3. თუ მიმღების საგადახდო მომსახურების ის პროვაიდერი, რომელიც წარმოადგენს სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკს, მიმღებს მომსახურებას უწევს შუამავლის მეშვეობით, ამ შუამავლისთვის დაწესებული საკომისიოს ოდენობაზე ვრცელდება ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამასთან, შუამავალი უფლებამოსილია მიმღებს სავაჭრო ობიექტის საკომისიოზე დამატებით დაუწესოს საკომისიო არაუმეტეს ურთიერთგაცვლის საკომისიოს ოდენობისა.

4. ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ყველა გადახდის ოპერაციაზე, მათ შორის, ადგილობრივი და უცხოური საგადახდო სქემით შესრულებულ ოპერაციებზე, გარდა:

ა) უცხოური საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტით შესრულებული ოპერაციებისა;

ბ) ისეთი საგადახდო სქემისა, რომლის ფარგლებში გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების თანხის ჯამური მოცულობა წლიურად არ აღემატება სხვა საგადახდო სქემის იმავე ტიპის საგადახდო ინსტრუმენტით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების თანხის ჯამური მოცულობის 3 პროცენტს.

5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, საგადახდო სქემებს და სხვა დაკავშირებულ მხარეებს არ აქვთ უფლება გამოიყენონ ისეთი პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს (ან/და აქვს ამგვარი ეფექტი) სავაჭრო ობიექტის საკომისიოს, ურთიერთგაცვლის საკომისიოსა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკომისიოსთვის დაწესებული შეზღუდვის გვერდის ავლას, მათ შორის, საკომისიოების გადაკლასიფიცირება, რამდენიმე საკომისიოდ ფორმირება, ახალი ტიპის საკომისიოს დაწესება და სხვა.

6. მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერებმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით და პერიოდულობით უნდა მიაწოდოს მიმღებს ინფორმაცია სავაჭრო ობიექტის საკომისიოს გადახდილი ოდენობის შესახებ ჩაშლილი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, მათ შორის, ურთიერთგაცვლის საკომისიოს, სქემის საკომისიოსა და სხვა ოდენობების შესახებ.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს ურთიერთგაცვლის საკომისიოს მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს, რომ სავაჭრო ობიექტის საკომისიოს შემცირებას თან ახლდეს ურთიერთგაცვლის საკომისიოს პროპორციული შემცირება. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით მიიღოს ინფორმაცია საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისგან ურთიერთგაცვლის საკომისიოს, საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, ასევე, დაადგინოს ურთიერთგაცვლის საკომისიოს ქვედა ან/და ზედა ზღვრები.“.

8. 41[1] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საჩივრის შესახებ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს საჩივარში აღნიშნულ ყველა საკითხს. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებლის საჩივარი განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება მის მიერ საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებელს აცნობოს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზი, ასევე საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო/მთლიანი ვადა. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების საერთო/მთლიანი ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 35 სამუშაო დღეს. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საჩივარში აღნიშნულ ყველა საკითხთან დაკავშირებით

მიღებული გადაწყვეტილება მომხმარებელს აცნობოს დაუყოვნებლივ მომხმარებლის მიერ არჩეული ფორმით (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით).“.

9. 41[2] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადახდო მომსახურების მომხმარებელ ფიზიკურ პირს, ხოლო მომხმარებელ იურიდიულ პირსა და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნს იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილ კრიტერიუმებს, უფლება აქვთ, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის წინააღმდეგ საჩივრით მიმართონ საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას (შემდგომ – კომისია) მხოლოდ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხის გაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებელი უფლებამოსილია კომისიას მიმართოს, თუ საჩივრით გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულება 100 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 100 000 ლარის ეკვივალენტს არ აღემატება. მომხმარებელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს კომისიისთვის მიმართვის გარეშე.“.

10. 41[4] მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კომისიის წევრების შრომის ანაზღაურება, ფინანსდება საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან. კომისიის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფასური საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებისთვის მოქმედი პირობებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თანადაფინანსების მოცულობის შესაბამისად ასევე ფინანსდება საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან. კომისიას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის საჭირო შენობა-

ნაგებობებით, ტექნიკური საშუალებებით, ფინანსური სახსრებითა და სხვა ქონებით უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.“.

11. 41[9] მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კომისიის გადაწყვეტილება მხარეებს ეგზავნებათ ელექტრონულად ან/და, შესაბამისი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მატერიალურად. გადაწყვეტილების ელექტრონულად გაგზავნის შემთხვევაში, იგი ჩაბარებულად მიიჩნევა გაგზავნის დღეს. თუ კომისიის გადაწყვეტილების ჩაბარება ადრესატისთვის ვერ ხერხდება მატერიალურად ან ელექტრონულად გაგზავნის შემთხვევაში, კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მისი საჯაროდ გავრცელების შესახებ. გადაწყვეტილება, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პრინციპის გათვალისწინებით. საჯარო შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი საჯაროდ გავრცელებიდან მე-15 სამუშაო დღეს.“.

12. 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ[1]“ ქვეპუნქტი:

„ვ[1]) განსაზღვროს მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ფარგლებში გაწეული მომსახურების საკომისიოს გაანგარიშების წესი ან/და განსაზღვროს საკომისიოს (მათ შორის საკომისიოს შემადგენელი ცალკეული კომპონენტების) ზედა ზღვარი, მათ შორის მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურებისა და საგადახდო ინსტრუმენტის კატეგორიის მიხედვით.“.

მუხლი 2

2028 წლის 1 იანვრამდე ამ კანონის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული 41[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მომხმარებლის საჩივრის განხილვის და გადაწყვეტის ვადა შეადგენს, შესაბამისად, არაუმეტეს 20 და 55 სამუშაო დღეს.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, კანონის მე-5^1 მუხლის 5^1 პუნქტისა და ამ კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 34^2 მუხლისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, კანონის მე-5^1 მუხლის 5^1 პუნქტი ამოქმედდეს 2026 წლის 1 აპრილიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 34^2 მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**